

დამტკიცებულია სკოლა-გიმნაზიის
პედაგოგიური საბჭოს მიერ
(08 სექტემბერი, 2017წ. სხდომის ოქმი №1)

წმინდა ალექსი შუმანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

სასკოლო სასწავლო გეგმა

2017 – 2018 სასწავლო წელი

შინაარსი

სკოლა-გიმნაზიის სტატუსი	4
I.სკოლა-გიმნაზიის მისია	4
II. ზოგადი დებულებები.....	4
III. სასწავლო წლის კალენდარი.....	5
IV. დღის რეჟიმი.....	5
V. მოსწავლეთა რაოდენობა	6
VI.საერთო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა	6
VII. საგნობრივი კათედრები	6
VIII. საგანმანათლებლო რესურსები.....	7
IX. გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები	7
X. დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურება	8
XI. სასკოლო საათობრივი ბადა	9
XII. შეფასების პრინციპები. სასკოლო შეფასების მიზანი	9
მოსწავლეთა შეფასების სისტემა	10
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება	10
აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა	11
განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები	12
ქულის გამოანგარიშების წესი	13
კლასისა და საფეხურის დაძლევა.....	13
გაცდენები.....	13
გამოცდის ტიპები	14
მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება	15
XIII. დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა.....	15
დამრიგებლის მოვალეობებია:	16
დამრიგებლის მუშაობის პრინციპი	17
XIV. ინკლუზიური განათლება	17
XV. სასკოლო - საგანმანათლებლო ღონისძიებები	19
XVI. ძირითადი მეთოდური ორიენტირები	19
შიდასასკოლო მონიტორინგის პრინციპები	20
დანართი 1.....	25
წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური	25
სკოლა-გიმნაზიის 2017-2018 სასწავლო წლის კალენდარი:	25
დანართი 2 - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მიერ არჩეული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე/დამატებითი მასალის ნუსხა	25
დანართი 3 - „ბიბლიოთეკის საათი“-ს „ლიტერატურული კლუბი“ ინგლისურ ენაში და ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი წრის მუშაობის გრაფიკი.....	34
დანართი 4 - სასკოლო საათობრივი ბადა.....	35

დანართი 5 - შეფასების რუბრიკები.....	77
დანართი 6 - შემაჯამებელი დავალებების ჩატარების გრაფიკი	136
დანართი 7 - დამრიგებლების სია	144
დანართი 8 - სკოლა-გიმნაზიაში დაგეგმილი ღონისძიებები	145
დანართი 9 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.....	149

სკოლა-გიმნაზიის სტატუსი

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია, არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებით (I-VI კლ) და საბაზო (VII-IX კლ) საფეხურზე.

I. სკოლა-გიმნაზიის მისია

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია შეუქმნას მოსწავლეს საუკეთესო პირობები სწავლისა და შემოქმედებითი განვითარებისათვის, უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პროგრამების, სწავლის მეთოდებისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე;
2. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლებასთან ერთად, სკოლა-გიმნაზიაში უპირატესობა ენიჭება ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას;
ამასთან სკოლა-გიმნაზია ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას;
3. სკოლა-გიმნაზია მიზნად ისახავს აღზარდოს ფიზიკურად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი და შემწყნარებელი, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობა და თავის მხრივ, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ჯანსაღი, თავისუფალი, ღია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;
4. სკოლა-გიმნაზიის დანიშნულებაა მოზარდების ინტეგრირება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

II. ზოგადი დებულებები

სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლა-გიმნაზიის მისიიდან, მასში მოცემულია მექანიზმები და სტრუქტურები, რომელიც ხელს უწყობს მისიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. გეგმის შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს სკოლა-გიმნაზიის ხედვას, პრობლემის გადაჭრის გზებს, ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლითაც სკოლა-გიმნაზია ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის პროცესში.

დაწყებითი საფეხურის ამოცანებია:

ა) შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად;

ბ) ჩამოყალიბოს მოსწავლეს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესი;

გ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები და ჩამოყალიბოს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად; იმ ცოდნის დასაუფლებლად, უნარ-

ჩვევების გასავითარებლად და დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება.

პირველ კლასში:

- საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას განმავითარებელი, დიდაქტიკური თამაშები;
- გაკვეთილის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ დრო უნდა დაეთმოს ფიზიკურ აქტივობებს (3-5 წთ);
- რეკომენდირებულია გაკვეთილი მიმდინარეობდეს აქტიური და პასიური აქტივობების მონაცვლეობით.

საბაზო საფეხურის ამოცანებია:

- ა) დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;
- ბ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ–ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- გ) შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლის გასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

III. სასწავლო წლის კალენდარი

სასწავლო წელი დაიწყება 2017 წლის 15 სექტემბერს და დამთავრდება 2018 წლის 15 ივნისს. არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობით და სკოლა-გიმნაზიის კალენდრით. ერთი აკადემიური წლის მანძილზე II-IX კლასებისათვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 34 კვირაზე ნაკლები, ხოლო I კლასისთვის 33 კვირაზე ნაკლები.

კალენდარი თან ერთვის. **(დანართი №1).**

სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ჰყოფს საშობაო არდადეგები.

სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლებაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლა–გიმნაზიაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები;

ბ) რელიგიური დღესასწაულის გამო სკოლა–გიმნაზია მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.

IV. დღის რეჟიმი

სკოლა–გიმნაზიაში სწავლება ხორციელდება ერთ ცვლაში. გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილი მიმდინარეობს 35 წუთით. მათთვის შესვენებების ხანგრძლივობა – 15 წუთია. ხოლო II-IX კლასებში ერთი შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვრება 15 წუთით. დანარჩენი შესვენებების ხანგრძლივობაა 5 წუთით.

I კლასი

გაკვეთილი	I	II	III	IV	V
დაწყება	9 ⁰⁰	9 ⁵⁰	10 ⁴⁰	11 ³⁰	12 ²⁰
დამთავრება	9 ³⁵	10 ²⁵	11 ¹⁵	12 ⁰⁵	13 ⁵⁵

II- VII კლასი

გაკვეთილი	I	II	III	IV	V	VI	VII
დაწყება	9 ⁰⁰	9 ⁵⁰	10 ⁴⁰	11 ⁴⁰	12 ³⁰	13 ²⁰	14 ¹⁰
დამთავრება	9 ⁴⁵	10 ³⁵	11 ²⁵	12 ²⁵	13 ¹⁵	14 ⁰⁵	14 ⁵⁵

V. მოსწავლეთა რაოდენობა

სკოლა-გიმნაზიის ნორმატიული აქტის - დებულების საფუძველზე, დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 20 მოსწავლით, ხოლო საბაზო საფეხურზე (VII-IXკლ) კი –არაუმეტეს 22 მოსწავლით. დაშვებულია პარალელური კლასების არსებობა.

IX კლასი იყოფა ქართულ ენაში, II-IX კლასები – ინგლისურ ენაში, ხოლო III-IX კლასები - რუსულ ენაში.

VI.საერთო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

სკოლა-გიმნაზია ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლა-გიმნაზიის საზოგადოების წევრებისათვის და ორგანიზებას უწევს სპორტულ, სახელოვნებო და სასკოლო პროექტებს, რომლებშიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლებიც არიან ჩართული.

VII. საგნობრივი კათედრები

თანამშრომლობისა და გუნდური პასუხისმგებლობის ინტერესთა გაერთიანების, წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა, სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის მიზნით იქმნება მასწავლებელთა გაერთიანებები. ე.წ. კათედრები.

კათედრების ფუნქციებია:

- ა) საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლების კოორდინირება;
- ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება;
- გ) საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსათვის წარდგენა;
- დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა;
- ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის;

- ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი.

სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს 7 კათედრა:

1. დაწყებითი საფეხურის (I-IV კლ)
2. ქართული ენისა და ლიტერატურის (ქართული ენა და ლიტერატურა, ძველი ქართული ენა);
3. ტექნიკური მეცნიერებების (მათემატიკა, ლოგიკა, ისტ);
4. საზოგადოებრივი მეცნიერებების (ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საღვთო სჯული);
5. უცხო ენის (ინგლისური ენა და რუსული ენა);
6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბუნებისმეტყველება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია);
7. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ქართული გალობა და ფოლკლორი, ქართული ცეკვა და სპორტი).

VIII. საგანმანათლებლო რესურსები

სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის.

სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, თვალსაჩინოებები, კომპიუტერები და სხვ) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
- დამხმარე ლიტერატურა;
- საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;
- სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები(რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ);
- ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.

IX. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები

ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან კათედრების მიერ არჩეულია სახელმძღვანელოები საგნების შესაბამისად და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. 2017/18 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზია იხელმძღვანელებს იგივე სახელმძღვანელოებით, რაც გასულ სასწავლო წელს.

- სკოლა-გიმნაზიის ფარგლებში თითოეული კლასის ყველა განაყოფში/პარალელში ისწავლება ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი;
- არჩეული სახელმძღვანელოების სია გამოკრულია მშობლისათვის თვალსაჩინო ადგილას სასწავლო წლის დაწყებამდე 10 დღით ადრე;

- მასწავლებელს უფლება აქვს, სწავლებისას მხოლოდ დამხმარე/დამატებითი მასალის სახით, გამოიყენოს ნებისმიერი სასწავლო მასალა, რომელიც შერჩეული და დამტკიცებულია დადგენილი პროცედურებით.

სკოლა-გიმნაზიის მიერ არჩეული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე/დამატებითი მასალის ნუსხა კლასების მიხედვით თან ერთვის **(დანართი №2)**.

X. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

2017/18 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიამ მისიიდან გამომდინარე, მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გასავითარებლად და მათი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშესაწყობად მიზანშეწონილად ჩათვალა და დაამატა:

1. **ქართულ ენასა და ლიტერატურას** დაწყებით კლასებში (I-IV კლასი), ესგ გათვალისწინებულ კვირეულ დატვირთვას, 1 საათი კითხვის საათის ჩასატარებლად, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

- ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
- ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით;
- გ) ანალიზის უნარის განვითარებით;
- დ) მსჯელობის უნარის განვითარებით;
- ე) პრეზენტაციის უნარის განვითარებით;
- ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით;

V- IX კლასებში – 2 საათი ფაკულტატურის სახით;

2. **მათემატიკას** I- IV კლასებში, ესგ გათვალისწინებულ კვირეულ დატვირთვას, 1 საათი; V- IX კლასებში – 2 საათი ფაკულტატურის სახით;
3. **ინგლისურ ენას** II კლასში, ესგ გათვალისწინებულ კვირეულ დატვირთვას, 1 საათი V- IX კლასებში – 2 საათი ფაკულტატურის სახით;
4. **რუსულ ენას** V- IX ესგ გათვალისწინებულ კვირეულ დატვირთვას 1 საათი;

III-IV კლასებში, დამატებითი სავალდებულო საგნის სახით, კვირაში 3 საათი;

ასევე, გამომდინარე სკოლა-გიმნაზიის მისიიდან, მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად, კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად და ქრისტიანულ ღირებულებებზე აღსაზრდელად, სკოლა-გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს ესგ გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას:

1. **ძველი ქართული ენა** – V-VII კლასებში დამატებითი სავალდებულო საგნის სახით, კვირაში 1 საათი;
2. **ლოგიკა** – V- IX კლასებში დამატებითი სავალდებულო საგნის სახით, კვირაში 1 საათი;
3. **ქართული გალობა და ფოლკლორი** –IV-IX კლასებში დამატებითი სავალდებულო საგნის სახით, კვირაში 1 საათი;
4. **ქართული ცეკვა** – I-IV კლასებში, ფაკულტატური საგნის სახით, კვირაში 1 საათი;
5. **სადეთო სჯული** – II- IV კლასებში ფაკულტატური საგნის სახით– 1 საათი, ხოლო V-IX კლასებში 1საათი–დამატებითი სავალდებულო საგნის სახით;

სკოლა–გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს ესგ გაუთვალისწინებელ დამატებით სააღმზრდელო მომსახურებას – სკოლა–გიმნაზიაში იმუშავენს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი I-IV კლასებში, სადაც მოსწავლეები დღის მეორე ნახევარში მოამზადებენ საშინაო დავალებებს.

სკოლა–გიმნაზიაში 2017–2018 სასწავლო წელს იმუშავენს შემდეგი კლუბები: „ბიბლიოთეკის საათი“, „მე მიყვარს წიგნი“, “English literature club”(V-IX კლ.), “English speaking club”(VI-VII კლ.) და “English grammar club”(V-VI კლ.). ასევე ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი წრე და STEM ჯგუფები. კლუბებისა და წრის მუშაობის გრაფიკი თან ერთვის **(დანართი №3)**.

XI. სასკოლო საათობრივი ბადე

სკოლა-გიმნაზიის საათობრივი ბადე მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით.

სასკოლო საათობრივ ბადეში აღნიშნულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი სავალდებულო და ფაკულტატური საგნები და სააღმზრდელო მომსახურება. **(დანართი № 4)**

XII. შეფასების პრინციპები. სასკოლო შეფასების მიზანი

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ, სწავლის ხარისხის გაკონტროლებას. ხარისხის გაუმჯობესება უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - სწავლის შედეგს.

სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის შესწავლა ეყრდნობა შიდა და გარე მონიტორინგს, პერიოდულ შემოწმებასა და შეფასებას.

მონიტორინგი წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების პროცესს, სიტუაციის მუდმივ მეთვალყურეობას, ანალიზსა და შემოწმებას.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შიდა სასკოლო მონიტორინგი ძირითადად ემყარება დამოუკიდებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალებების, საკონტროლო წერების, შუალედური და ფინალური ტესტირების, მე-6 და მე-9 კლასებში გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ჩატარებულ ცენტრალიზებული ტესტირების შედეგებს. ტესტების შინაარსი სხვადასხვა ხასიათისაა, გარდა საგნობრივი სტანდარტის შესრულებისა, ვიკვლევთ სხვადასხვა შესაძლებლობებს და უნარებს, მათ შორის: ენობრივ, ლოგიკურ, რაოდენობრივი აზროვნების, წაკითხულის გააზრების, მსჯელობა–არგუმენტირებისა და სხვა.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნით ადმინისტრაცია გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის: **საგაკვეთილო პროცესზე და მასწავლებელზე დაკვირვება, ურთიერთდასწრება, სამოდულო გაკვეთილების ორგანიზება – ანალიზი, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვები და სხვა.**

მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის მიზნით, იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები მათ შორის,

დამატებითი გაკვეთილები (ჯგუფურად, ან ინდივიდუალურად), მასწავლებელთა მიზნობრივი ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები კათედრებზე და სხვა.

მოსწავლეთა შეფასების სისტემა

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი. მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს. შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს: მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას. სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის არ არის საკმარისი მოსწავლე მხოლოდ შემაჯამებელი დავალებებისა და ტესტირების შედეგების საფუძველზე შეფასდეს. მასწავლებელი უნდა აფასებდეს მოსწავლეს დაკვირვების შედეგად დაგროვილი მონაცემების, ნამუშევრების კრებულების, პრეზენტაციების, მოსწავლისავე თვითშეფასების, ჯგუფური მუშაობის თუ სხვა ტიპის აქტივობების მიხედვით, რომელთა შეფასება ხდება სხვადასხვა რუბრიკებით. მოსწავლემ წინასწარ იცის, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

სკოლა-გიმნაზიაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

1. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით;

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

I-IV კლასებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სკოლა-გიმნაზიაში განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება:

- მოკლევადიანი სიტყვიერი და წერილობითი კომენტარი - გამოყენებულია მოსწავლეთა სწავლაში წარმატების მიღწევაში დახმარებისათვის, სირთულეების დაძლევის გზების ჩვენებასა და რჩევებისათვის საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენისათვის, ფასდება მთელი სემესტრის განმავლობაში;
- პორტფოლიო-შეიცავს მოსწავლის მიერ შესრულებულ საშინაო და საკლასო ნამუშევრებს. პორტფოლიოს დანიშნულებაა მოსწავლემ და მასწავლებელმა შეაფასონ ნამუშევრები დინამიკაში, მოხდა თუ არა პროგრესი, გააცნობიერონ თუ რა შეცდომები დაუშვა მოსწავლემ და როგორ შეიძლება მომავალში მათი თავიდან აცილება, ფასდება მთელი სემესტრის განმავლობაში;
- შემაჯამებელი წერილობითი კომენტარი - გამოყენებულია სემესტრის ბოლოს მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებაში მოსწავლეთა შესაბამისობის ჩვენებისათვის. ფასდება სემესტრის ბოლოს;

V-IX კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებში.

V-IX კლასებში საგანში „სპორტი“, „სადვთო სჯული“, „ლოგიკა“ და „ქართული გალობა და ფოლკლორი“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები შეფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) საშინაო დავალება;

ბ) საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს;

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება;

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება;

სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა თითოეული საგნისთვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს საპატიო მიზეზით გაცდენის გამო, სკოლა-გიმნაზია მისცემს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას. აღდგენითი სამუშაო დაინიშნება დირექციის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში, სამუშაოს შესრულებას დაესწრება საგნის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. შედგება ოქმი.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შიდა სასკოლო მონიტორინგის ფარგლებში, მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად, ჩატარდება საკონტროლო წერები და ფინალური ტესტირებები რელევანტური წესით შერჩეულ კლასებსა და საგნებში.

გარე მონიტორინგის ფარგლებში კი, მე-6 კლასში გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდება ცენტრალიზებული ტესტირება 3 საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, ხოლო მე-9 კლასში 8 საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია.

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

V-IX კლასში მოსწავლეების შესაფასებლად გამოიყენება შეფასების შემდეგი სახეობები:

- ა) **საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები**-საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ბ) **საგნის სემესტრული ქულა** – თითოეულ სემესტრში საგანში მიღებული შეფასება, სემესტრული ტესტირების შედეგის გათვალისწინებით;
- გ) **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში;
- დ) **საფეხურის საერთო ქულა** – დაწყებითი, საბაზო საფეხურის საერთო შეფასება.

ქულის გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- გ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით;
- დ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;
- ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.

3. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
- ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეთათვის სიზუსტით.

კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 6.0 ან მეტი;
2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 6.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას;
3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 6.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტეტის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას;
4. თუ მოსწავლემ ვერ გადალახა სკოლა-გიმნაზიის მიერ დადგენილი ბარიერი, მაგრამ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ბარიერი, უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში.

გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში;

2. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი;
3. თუ საბაზო საფეხურზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

გამოცდის ტიპები

სკოლა–გიმნაზიაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

1. სემესტრული გამოცდა;
2. საშემოდგომო გამოცდა;
3. ექსტერნატის გამოცდა;

სემესტრული გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

- სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. წერილობითი მიმართვის საფუძველზე დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება–არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული;
- სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;
- სკოლა–გიმნაზიამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით;
- დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია;
- კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით;
- დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს;
- გამოცდების ტიპი–წერიითი, ტესტური;
- დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
- სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის ქულა არის 6–ზე ნაკლები, სკოლა–გიმნაზია ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში;
- საშემოდგომო გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე;
- დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგანი/საგნების საგამოცდო კომისია;

- კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით;
- დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს;
- საშემოდგომო გამოცდამდე ორი კვირის მანძილზე (ყოველდღიურად) სკოლა-გიმნაზია გაუწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი;
- გამოცდის ტიპი-წერიტი (ტესტური);
- დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით; მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე(საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა).

ექსტერნატის გამოცდის წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შიდა სასკოლო და გარე მონიტორინგისათვის ჩატარდება საკონტროლო წერები, ფინალური ტესტირებები და გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ცენტრალიზებული ტესტირებები VI და IX კლასებში.

VI და IX კლასში გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ცენტრალიზებული ტესტირების ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

- ტესტირება ჩატარდება შეფასებისა და ეროვნული ცენტრის მიერ ცენტრალიზებული ტესტირების სახით;
- სკოლა-გიმნაზია ტესტირებისათვის რეგისტრაციას გაივლის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) აპრილის თვეში;
- ტესტირება ჩატარდება ივნისში;
- დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დაინიშნება მეთვალყურე და პასუხისმგებელი პირი;
- დამრიგებელი ვალდებულია ტესტირების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს;
- ტესტირების ტიპი-ცენტრალიზებული – კომპიუტერულად.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

1. შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას;
2. წარჩინებული მოსწავლეებს გადაეცემათ სიგელები.

სასკოლო გეგმას თან ერთვის კათედრების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები, შუალედური და შემაჯამებელი დავალებების ჩატარების გრაფიკი (დანართი 5,6).

XIII. დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა

სკოლა-გიმნაზიაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს გახანგრძლივებული დღის სწავლებით 9.00 საათიდან 17.00. საათამდე I-IV კლასებისათვის.

საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის. აქედან გამომდინარე დამრიგებლის ფუნქცია და მოვალეობები მნიშვნელოვნად იზრდება, რის გამოც კლასს ენიშნება დამრიგებელი.

დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; დამრიგებელი ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უვითარებს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ეკლესიის, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

დამრიგებლის მოვალეობებია:

- გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის საკითხები და სხვ.);
- რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი;
- დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიურ თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
- რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი;
- საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- გაიგოს მოსწავლის მიერ სკოლა-გიმნაზიის გაცდენის მიზეზი;
- გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისაგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებაში ასევე გაანალიზებული უნდა იყოს ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია მოსწავლის კოგნიტური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის. ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მშობელს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით;
- მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად.

დამრიგებლის მუშაობის პრინციპი

დამრიგებლის მუშაობა შემდეგ პრინციპებს ემყარება:

- **სრულფასოვანი აღზრდა** – სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ;
- **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** – დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- **მოსწავლეებში პასუხისმგებლობებისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება** – დამრიგებელმა მოწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები, და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;
- **თანამშრომლობის პრინციპი** – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

სადამრიგებლო პროგრამაზე მუშაობისას სკოლა-გიმნაზია რეკომენდაციას აძლევს დამრიგებელს საუბრები წარმართოს შემდეგი მიმართულებით:

1. პიროვნული და მორალური განვითარება;
2. გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;
3. მეწარმეობის უნარების განვითარება;
3. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
3. უსაფრთხოება და ძალადობისაგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;
4. მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;
4. თვალსაწიერის გაფართოება;

პირველკლასელებთან შეხვედრა (35-40 წუთი) მრავალფეროვანი დავალებებით, სადისკუსიო თემებით და თამაშებებით უნდა იყოს დაგეგმილი. მათი ჩატარება რეკომენდებულია კვირის ბოლოს, რათა მოხდეს განვლილი სასწავლო კვირის შეფასება და შეჯამება.

სასკოლო გეგმას თან ერთვის კლასის დამრიგებლების სია (**დანართი 7.**)

XIV. ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (სსსმ), რომელსაც, თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და რომლისთვისაც საჭიროა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.

სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ა) ფიზიკური შეზღუდვა;
- ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;

- გ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და /ან მხედველობის);
- დ) მეტყველების განვითარების დარღვევა;
- ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. იგი მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ისგ შეიქმნა სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირის ვადაში.

სკოლა-გიმნაზიას 2017/18 სასწავლო წლის დასაწყისში ჰყავს სსსმ მოსწავლე V–ბ კლასში. მასთან მუშაობს სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი. სკოლა–გიმნაზიას აქვს რესურსთაზი და შესაფერისი ადაპტირებული გარემო.

ისგ შემუშავდა ყველა საგანში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. ისგ ფარგლებში დეტალურად დაიგეგმა:

- რომელ საგანში/საგნებში საჭიროებს მოსწავლე ისგ შემუშავებას. შერჩეულ საგნებში განისაზღვრა სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები;
- დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობასა თუ მასალას;
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი და/ან ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობის დრო, ადგილი და ხანგრძლივობა;
- დამატებით და /ან ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი; სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი,ძიძა) საჭიროება;
- სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი(რომელიც შეიძლება იყოს მშობელი);
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი (ავტობუსით მომსახურების საჭიროება, კომპიუტერით სარგებლობის აუცილებლობა, მისთვის საჭირო სასკოლო ავეჯის აუცილებლობა, დასვენების საჭიროება და სხვ.);

ისგ ითვალისწინებს ინფორმაციას ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით. სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა ისგ შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (ისგ ჯგუფი), რომელმაც უზრუნველყო სსსმ მოსწავლისათვის ისგ შემუშავება და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.

ისგ ჯგუფში გაერთიანდნენ ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი, სკოლა-გიმნაზიის დირექტორი, ფსიქოლოგი და სპეციალური მასწავლებელი.

ისგ ჯგუფს ჰყავს კოორდინატორი. კოორდინატორი წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; ჯგუფის კოორდინატორი არის სსსმ მოსწავლის დამრიგებელი.

ისგ შედგენის შემდეგ ჩატარდა ისგ ჯგუფის წევრების ერთი მიმდინარე შეხვედრა და ყოველი სემესტრის ბოლოს ჩატარდება ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები. გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.

ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

ისგ შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ისგ-ით, ფასდება მის მიერ ისგ განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ისგ, ფასდება მაღალი ქულით (დანართი 9).

XV. სასკოლო - საგანმანათლებლო ღონისძიებები

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობასაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება სკოლა-გიმნაზიაში დაგეგმილი ღონისძიებები (დანართი 8).

XVI. ძირითადი მეთოდური ორიენტირები

სკოლა-გიმნაზიაში სწავლება-სწავლის მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სასიცოცხლო და ინტელექტუალური უნარების განვითარება. მათ შორის ჯანსაღი უსაფრთხო ცხოვრების, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების აღმოჩენისა და გამოსავლის ძიების, ამოცანის დასმისა და გადაჭრის, არგუმენტებისა და მსჯელობა-დასაბუთების, შეფასების, წარდგინება-პრეზენტაციის და სხვა. შესაბამისად მასწავლებელი უნდა ფლობდეს და იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მეთოდებს. მათ შორის: აზროვნების განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, აღმოჩენის გზით სწავლება, თანამშრომლობის გზით სწავლება, პრაქტიკული სწავლება, გამოცდილებაზე დამყარებული სწავლება და სხვა.

ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი

გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს.

სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლაზე და განვითარებაზე.

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს.

განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მისაცემად სკოლა-გიმნაზია ზრუნავს მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.

მყარი და დინამიური ცოდნის მისაცემად სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს გაღრმავებულ სწავლებას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას.

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და, პირიქით, იკლებს, თუ მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა. ასევე, მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება. ააუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლა-გიმნაზიის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

სკოლა-გიმნაზია უვითარებს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევებს. მასწავლებლის მაგალითი გადამწყვეტია სკოლა-გიმნაზიაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად.

შიდასასკოლო მონიტორინგის პრინციპები

სასწავლო პროცესზე ადმინისტრაციის კონტროლის მიმართულებები:

- 1) მონიტორინგი;
- 2) შეფასება;

მონიტორინგი – არის სპეციფიკური ინდიკატორების მიხედვით მონაცემების შეგროვების და გაანალიზების სისტემური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მოცემული სიტუაციის შესწავლას და მიღებულ შედეგზე დაყრდნობით შესაბამისი ჩარევების განხორციელებას.

შეფასება – მონიტორინგის შედეგზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ანალიზი.

1. საგნის მასწავლებლის მუშაობის მონიტორინგის მიმართულება:

- საგნის მასწავლებლის პორტფოლიოს შეფასება;

საგნის მასწავლებლის პორტფოლიო

1. საგნის წლიური გეგმა;
 2. საგნის თემატურ-კალენდარული გეგმა;
 3. დამატებითი რესურსებისა და ინტერნეტგვერდების ბანკი;
 4. სხვადასხვა სტრატეგიებით დაგეგმილი გაკვეთილების ნიმუშები (3 გაკვეთილი);
 5. ჩატარებული გაკვეთილების ვიდეო ან ფოტომასალა;
 6. მოსწავლეთა მონაცემთა ბაზა, რომელშიც ასახული იქნება მიმდინარე შემაჯამებელი სამუშაოების (ტესტები, ჩათვლები, საკონტროლო სამუშაოები) შედეგები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
 7. კათედრაზე პედაგოგის მონაწილეობით განხილული საკითხის ანგარიში;
 8. ჩატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 9. შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, ანალიზი, შეფასების სქემები;
 10. რესურსების ბანკი;
 11. მოსწავლეთა პროექტების ბანკი (ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსია);
 12. მოსწავლეთა ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობისა და წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 13. პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია (ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა, გამოქვეყნებული ნაშრომები);
 14. სასწავლო წლის შემაჯამებელი ანგარიში და რეკომენდაციები საგნის სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით (წარდგენილი კათედრაზე).
- 2. კათედრის თავმჯდომარის საქმიანობის მონიტორინგის მიმართულება:**
- კათედრის თავმჯდომარის პორტფოლიოს შეფასება;

კათედრის თავმჯდომარის პორტფოლიო

1. კათედრის სხდომის ოქმი, რომელზეც არჩეულ იქნა კათედრის თავმჯდომარე;
2. კათედრის დებულება;
3. კათედრის წევრთა შესახებ პერსონალური ინფორმაცია (მისამართი, ელ-ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი, პროფესიული განვითარების ეტაპები);
4. კათედრის წევრთა კვირეული დატვირთვა;
5. საგნის სასწავლო პროგრამები და დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. კათედრის საქმიანობის წლიური სტრატეგიული გეგმა;
7. სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა განსაზღვრის დამადასტურებელი დოკუმენტი;
8. შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, შესაბამის ინდიკატორებთან ერთად;
9. კათედრის წევრთა შეხვედრების გრაფიკი;
10. კათედრის შეხვედრებზე განხილული საკითხების მოკლე აღწერა, შესაბამისი გადაწყვეტილება და განხორციელების ანგარიში;

11. შიდასასკოლო ღონისძიებათა კალენდარი და განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია;
12. განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
13. მოსწავლეთა შედეგების დემონსტრირების სისტემის ღონისძიებების კალენდარი (პრეზენტაციები, ოლიმპიადები, კონკურსები) და ამსახველი დოკუმენტაცია;
14. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების (სამოდულო გაკვეთილები, გაკვეთილებზე დასწრება, გამოცდილების გაზიარება და სხვა) ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია.

3. კლასის დამრიგებლის საქმიანობის მონიტორინგის მიმართულება:

- დამრიგებლის პორტფოლიოს შეფასება;

დამრიგებლის პორტფოლიო

1. კლასის მოსწავლეთა მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მოსწავლის საცხოვრებელი მისამართის, მშობელთა საქმიანობის ადგილის, საკონტაქტო ტელეფონის, მშობლის ან უფლებამოსილი პირის ელ-ფოსტის, მოსწავლის განსაკუთრებული საჭიროებისა და ინტერესის შესახებ;
2. კლასის პედაგოგთა მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პედაგოგის საცხოვრებელი მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის, ელ-ფოსტის შესახებ;
3. მშობლებთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების გრაფიკი;
4. მშობლებთან შეხვედრებისას განხილული საკითხების ამსახველი დოკუმენტაცია (ოქმები, ჩანაწერები);
5. კლასის ღონისძიებათა კალენდარი და ამსახველი დოკუმენტაცია;
6. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დაგვიანებისა და დასწრების აღრიცხვიანობისა და რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
7. დისციპლინის დარღვევისა და შესაბამისი ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია;
8. ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
9. ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
10. მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის კითხვარები და შესაბამისი რეაგირების ამსახველი მასალა;
11. მოსწავლეთა პორტფოლიოების წარმოებისა და შენახვის მექანიზმების ამსახველი მასალა;
12. წლიური ანგარიში და პროცესის გაუმჯობესების მიზნით დასახული რეკომენდაციები.

4. პედაგოგიური საბჭოს მუშაობის მონიტორინგის მიმართულება:

1. პედსაბჭოს წლიური სამუშაო გეგმა;
2. პედსაბჭოს სხდომის ოქმები;

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტის მიღწევების მონიტორინგის მიმართულებები:

- გაკვეთილებზე დაკვირვება;
- მასწავლებელზე დაკვირვება;
- შემაჯამებელი დავალებების საგნის სტანდარტთან შესაბამისობა;
- საკონტროლო წერები;
- შუალედური და ფინალური ტესტირებები;
- მე-6 და მე-9 კლასის მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ცენტრალიზებულად, ტესტური მეთოდის გამოყენებით. ტესტირება ტარდება კომპიუტერულად,

მე-6 კლასში 3 საგანში :

1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. მათემატიკა; 3. ინგლისური ენა;

მე-9 კლასში კი- 8 საგანში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. მათემატიკა; 3. ინგლისური ენა;

4. ისტორია; 5. გეოგრაფია; 6. ქიმია; 7. ბიოლოგია; 8. ფიზიკა.

ა(ა)იპ „წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის“
2017/2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი

№	მონიტორინგი	ჩატარების დრო	პასუხისმგებელი	შენიშვნა
1	მასწავლებელთა შეფასება	მთელი წელი	დირექცია ხარისხის მართვა	
2	კათედრის თავმჯდომარის მუშაობის შეფასება	სემესტრის ბოლოს	დირექცია ხარისხის მართვა	
3	დამრიგებლის მუშაობის შეფასება	სემესტრის ბოლოს	დირექცია ხარისხის მართვა	
4	სადამრიგებლო საათის ჩატარების შეფასება	პერიოდულად	დირექცია ხარისხის მართვა	
5	მოსწავლეთა გაცდენა– დაგვიანებებისა და დისციპლინური გადაცდომის მონიტორინგი	რეგულარულად	დამრიგებლები დირექცია	
6	საგნობრივი სტანდარტის მიღწევის მონიტორინგი	სემესტრის ბოლოს	დირექცია ხარისხის მართვა	
7	მოსწავლეთა შეფასება განმსაზღვრელი შეფასებით	რეგულარულად	საგნის პედაგოგები	
8	მოსწავლეთა შეფასება განმავითარებელი შეფასებით	რეგულარულად	საგნის პედაგოგები	
9	შემაჯამებელი დავალებების თემატიკის, ფორმისა და გრაფიკის შესაბამისობა სასკოლო სასწავლო გეგმასთან	თვეში ერთჯერ	დირექცია ხარისხის მართვა	
10	საგნის სწავლების ხარისხის დინამიკა I სემესტრი, II სემესტრი	მთელი წელი	დირექცია ხარისხის მართვა	
11	გაკვეთილებზე დაკვირვება	პერიოდულად	დირექცია ხარისხის მართვა	
12	შუალედური ტესტირებები და საკონტროლო წერები	პერიოდულად სემესტრის განმავლობაში	ხარისხის მართვა	
13	ფინალური ტესტირებები	დეკემბერი ივნისი	ხარისხის მართვა	

**წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური
სკოლა-გიმნაზიის 2017-2018 სასწავლო წლის კალენდარი:**

2017-2018 სასწავლო წლის ხანგრძლივობა:

- I კლასი – I სემესტრი 72 სასწავლო დღე
II სემესტრი 93 სასწავლო დღე – სულ 165 დღე
- II-IX კლასი – I სემესტრი 72 სასწავლო დღე
II სემესტრი 98 სასწავლო დღე – სულ 170 დღე

დამატებითი სასწავლო დღეები:

- 2018 წლის 17 თებერვალი - ორშაბათის ცხრილით;
 - 2018 წლის 21 აპრილი - სამშაბათის ცხრილით;
 - 2018 წლის 19 მაისი - ოთხშაბათის ცხრილით;
 - 2018 წლის 09 ივნისი - ხუთშაბათის ცხრილით;
- I სემესტრი ----- 15 სექტემბერი -30 დეკემბერი
 - II სემესტრი ----- 15 იანვარი - 15 ივნისი
 - ა) I კლასელთათვის ----- 15 იანვარი - 09 ივნისი
 - ბ) II- VIII კლასელთათვის -----15 იანვარი - 15 ივნისი
 - საშობაო არდადეგები: 31 დეკემბერი - 15 იანვარი
 - სააღდგომო არდადეგები: 31მარტი- 16 აპრილი

უქმეზად ცხადდება 12 საუფლო დღესასწაული:

- | | | |
|---|---------------|----------------|
| 1. ღმრთისმშობლის შობა | 21 სექტემბერი | |
| 2. ჯვართამაღლება | 27 სექტემბერი | |
| 3. ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება | 4 დეკემბერი | |
| 4. ქრისტეშობა | 7 იანვარი | |
| 5. ნათლისღება | 19 იანვარი | |
| 6. მირქმა | 15 თებერვალი | |
| 7. ხარება | 7 აპრილი | |
| 8. ბზობა | | } გარდამავალია |
| 9. ამაღლება | | |
| 10. სულთმოფენობა | | |
| 11. ფერისცვალება | | 19 აგვისტო |
| 12. ღმრთისმშობლის მიძინება | | 28 აგვისტო |
| • ალექსი სენაკელის (შუშანია) ხსენების დღე | | 31 იანვარი |